


სიხარული

საქართველოს
საბჭოთაო
ხალხთა

ერთი სიტყვით, მიეჩვენენ მუშაობას ქალაქებთან და არა აღმიაწებთან.

გაზეთი № 15



— ეს რა გიქნია, დაწესებულება ნათესავებით რომ აგივსია?!
— კი მაგრამ, თქვენ არ ბრძანეთ, თანამშრომლები ერთი ოჯახივით უნდა ვიყოთო!



— აღმიაწებთან ურთიერთობა არ იცის. ტკბილი სიტყვა მაგას არ წამოსცდება და ახლა ქალაქებში ქექვით თუ ფონს გავა, მაგასაც ვნახავთ!



— ქურდებმა რომ ბინა არ გაგვიტეხონ, თან მიგვაქვს აგარაკზე, ურეკში!



ნახაბი მ. აბაშიძის და ვ. კუციანი

— ხელფასს შენ არ იღებ და ამდენი ფული საიდან?!
— ბაზრიდან, უფროსო! ორკერ შევიტანე მარწყვი გასაყიდად!



„ნიანგის“ სალალობო ადრესი - საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის სამმართველო მუშაკებს

ეს სალალობო ადრესი მე დაჩქარებით დავეწერე და წავიკითხავთ საქართველო! კითხვის დროს ნუ გამაჩერებთ! რომ მოინდომოთ გულითაც, ვერ გამაჩერებთ, რადგანაც მე არც მართვის მაქვს უფლება და არც მყავს კერძო მანქანა! ძვირფასო ამხანაგებო, ხუმრობა იქით იყოს და, მსურველედ მოგესალმებით, სულით და გულით გილოცავთ! ამ ღამეზე ზემოთ გილოცავთ, ამ სახელოვნად განვლილ გზას! ვაშა თქვენს გამბედაობას, შემართობას და გარისკვას! სიცოცხლის გადასარჩენად თქვენც დღე და ღამე ასწორებთ, მუდამ საბრძოლო მწყობრში ხართ, გაქვთ ფორმა მუდამ საბრძოლო! თქვენ გზები გადაუკეტეთ ბევრ ნეგატიურ სრობოლასა, ნარკოტიკების გამყიდველს, ქურდს, ნარკომანს და ქორვაჭარს!.. თქვენს ანგარიშში ითვლება საგმირო საქმე მრავალი, ბევრ ავტომობილომანიანს გზა არ მიეცით სავალი! ბევრის ღამეში სიცოცხლე ემსხვერპლა ავტომობილებს!.. დღეს მოვიგონოთ ისინი, მათი გმირობა ვადიდოთ! თუმცა სამშობლოს წინაშე დამსახურება დიდი გაქვთ, გაადრებთ კრიტიკულ შენიშვნებს (ზეიმსაც შევინის კრიტიკა): საჯაროდ ითქვა: „ადგილი აქვს გამოძალკვებს ტრასებზე!“ აღკვეთეთ გამოძალკვები - არ გაილანძლოთ, არ შეერცხეთ! და ესეც ითქვა: „ბევრს ვხვდებით დღეს დამჭერებში დასაჭერს!“ თქვენს შორის თუა ასეთი, დაიჭირეთ და დასაჯეთ! ვიყნოთ მართლები! - საერთო მდგომარეობა მძიმე გვაქვს! - გავგებანჯვს ავარიებმა - უკმარო ტრაგედია მძიმე!.. ცრემლების წვიმა გვაწვიებს ამ ავტოკატასტროფებში!.. იწვინებს მათი სიმწარე ქალაქებშიც და სოფლებშიც!.. დღეს ბევრგან საქართველოში (საუბედუროდ ასეა!) ხდება ოჯახთა მთლიანი ავტომობილიზაცია! ზოგი ოჯახის ყველა წევრს ჰყავს საკუთარი მანქანა, მაგრამ არც ერთმა არ იცის ხეირიანად წაყვანა! რამდენი ღოთი ღვინია-შოფერი გადაიჩენა, რამდენი გასამართლეს და ხენავს ახლა ციხესა!.. სწრაფად, შეილებით კი არა, ჩვენ მანქანებით ვმრავლდებით, თავზე ვვატყვებთ ამიტომ უბედურება ამდენი!.. დღეს ავტოავარიები, - ვარლამ შადურმა ერთგან თქვა, - ჩვენ გვემუქრება კიბოზე, ატომის ბომბზე მეტადა!.. თუმცა ბოლო დროს მრავალი მკაცრი სასჯელი დაწესდა, -

არ გვეშველება, სანამდე მთვრალი მძღოლი ზის საჭესთან! დღეს, მიწისქვეშა მრავალი გადასასვლელი გვაქვს როცა, ზოგ ფხვით მოსიარულეს არ სურს „ქვეშიდან გამოსვლა“: შუა ქუჩაზე უშიშრად გადარბის, როგორც შურდული, მძღოლსაც ღუპავს და საკუთარ თავსაც იღუპავს უგნური!.. ზოგი უნდო და უვიცი მინდობილობით მიმოდის!.. გასშირდა დასახიარება, სიკვდილი... მინდობილობით!.. ძვირფასო ამხანაგებო, თქვენგან უფრო მეტს მოველოთ! - სუფთა სინდისით, სელებით, ნათელი ჭკუა-გონებით მოვეგოთ ანტიბოდებთან უსასტიკესი ბრძოლები, ყოფილიყავით ყოველთვის მძღოლების წინამძღოლები! მე, თქვენთან ერთად, სატირულ ყოველკვარტალურ ბუკლებს ვეძებ, თუ უფრო დამებმარებით, გამოცემ უფრო უკეთესს! მინისტრს შინაგან საქმეთა - ამხანაგ შოთა გორჯოძეს - გვერდით დაუდგეთ ერთგულად, მის ირგვლივ მედგარად მოვეგოდეთ!

მსურს ერთხელ კიდევ შევაქო, რაინდი ვარლამ შადური! - „სიტყვა მაულის გზიანი“, სული აქვს მარადქართული! როგორც ყველგან და ყოველთვის მჯერა, დიდ საქმეს წინ წასწევს რუსთველის ავთანდილივით ნაღდი გიორგი ცინცაძე! ვთხოვ აბულაძე გიულის - ჭკვიან ქალბატონ მაიორს - გენერალობამდე ამაღლდეს, იაროს უავარიოდ! გისურვებთ: დაუსრულებლად მღეროდეს თქვენი რადარიც - „ამგვარი უავარიო სხვა საქართველო სად არი?“ იმდენი უკატასტროფო დღე გავითენდეთ ნათელი, არის დღეს საქართველოში ავტომანქანა რამდენიც! კიდევ ერთ რამეს გისურვებთ და დავამთავრებ ამ ლექსსაც: თქვენს გმირულ საქმიანობას ყველგან პქონოდეს მწვანე გზა!

„ნიანგის“ დავალებით - ვაურ ბოლქვაძე

წაკითხულია სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის ორმოცდამეთუ წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სწდომაზე თბილისის ფ. ძეგინისკის სახელობის კულტურის სახლში 1986 წლის 3 ივლისს.

პლაკატი ჯემალ ლოლუასი



ქუთაისელ ვაჟა ზვარცხაძეს რიმინისთაველს თავი რომ ება და თანაც გვარიანი, გვარზეც ეტყობა, მაგრამ კვიცივიტ გვარზე არ სტოდა და საბოლოოდ კვიცივიტ ჯირითს საუკუო ადგილების ღორივით ჩიჩქნა. ამჯობინა. სწორედ ამ პოზიციიდან შეხედდა სახელმწიფო დაწესებულებებს და ისინი იმხელაზე დაუპატარავდა თვალში, რომ გასასუქებელ პუნქტებზედ წარმოიდგინა.

ეს გასასუქებელი პუნქტი არ გასლავსო! — პირველსავე შემთხვევაში თითი დაუქნია კანონმა, მაგრამ რაკი თითის დაქნევამ არ გაჭრა და რიმინისთაველი მთელი თავით დაბალი შეგნებისა აღმოჩნდა, პანდური ჰკრა და კაი ექვსი წლით დაამორა მიზანს (გასუქებას), თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ექვსწლიანი მარხვა ვაჟამ ვაჟკაცურად გადაიტანა და ახალი მადით შეუდგა გასუქებას — „წყალკანალტრესტის“ ოსტატად მოეწყო და არცთუ ოსტატურად აწაპნული ლუკმა — 555 მანეთი — რევიზიამ პირიდან გააგდებინა.

ამან მთლად გაულიჩინა მადა ვაჟა რიმინისთაველს და მცირე ხნის შემდეგ უკვე თვითონ შეიქნა რევიზორი — რუსთავის საქალაქო საბჭოს კომუნალური განყოფილების უფროს ბულალტრად დაიწყო მუშაობა და ცალკე ბრძანებით რევიზორ-ბულალტრობაც მას დაევალა. აქ კი უფრო მოზრდილი ლუკმების ჩაყლაპვას შეეცადა. პირველად არცთუ დიდი ლუკმა იშოვა — რუსთავის საყოფაცხოვრებო ტექნიკის შემკეთებელ ქარხანაში ოსტატ მ. მუნაჩიშვილს 500 მანეთი ააფცქნა. მომდევნო ლუკმა კი საკმაოდ დიდი იყო — გამწვანების სამმართველოს უფროსს, მ. შიჭაბერიძეს, ამჯერად როგორც რევიზორების „დამხმარებ“ ვ. რიმინისთაველმა 7.000 მანეთი მოსთოვა რევიზიის დროს გამოვლენილი ცოდვების მიტევებისათვის.

ამხელა ლუკმა ყელზე არ დაგადგვსო და — მ. შიჭაბერიძემ ორად გაუყო: ვერ 3.000 მანეთი მისცა, მერე — 3.500, მაგრამ რაკი

შეპირებულს 500 მანეთი მაინც დააკლდა, რიმინისთაველს მადა კვლავ დაუცრომელი დარჩა.

სწორედ ამ დროს რევიზორმა ღორის სუნი იკრა და სპეცავტომეურნობის ზეინკალს ს. ბალარჯიშვილს მიადგა რუსთავის ნავაჟსაყრელთან. ამ დროს ს. ბალარჯიშვილი კოოპერირების წესით მიბარებულ ღორებს მწყემსავდა.

— ჰეი, ბიჭო, მელორეო! — შესძახა რიმინისთაველმა.

— რაო, ბატონო რევიზორო?

— ათასი მანეთი გადმომიგდე, თორემ შავ დღეს დაგაყენებ, აქტს დაგიწერ, აქტუნასო, დაგაწყებინებ სტუნვასო!

შეშინებულმა ბალარჯიშვილმა ათასი მანეთი გადაუგდო.

წავიდა ჯიბეგაბერილი რიმინისთაველი, შეინახა ფული და ისევ მოვიდა.

— ჰეი, ბიჭო, მელორეო!

— რაო, ბატონო რევიზორო?

— სამი ათასი მანეთი გადმომიგდე, თორემ შავ დღეს დაგაყენებ, აქტს დაგიწერ, აქტუნასო, დაგაწყებინებ სტუნვასო!

შეშინებულმა ს. ბალარჯიშვილმა კი დააპირა რევიზორის დაპურება, მაგრამ 500 მანეთის მეტი ვერ იშოვა, ადგა და ის გადაუგდო!

მაგრამ რევიზორმა, რაც გადაუგდეს, იმის დაჭერაც ველარ შეძლო: უცბად თვითონ ის დაიჭირეს!

წაგაკალ თუ არა შენს ღორობასო?! — წააყვედრა მელორემ და იმის შიშით, რევიზორი კიდევ არსაიდან გამომიტყვერესო, ღორებს წამოუარა.

ს. სხაპელი

ნახ. მ. აბაშიძისა



— მე ქალაქელი კაცი ვარ და რიხი საშუალებაც მაქვს. იმით ვვაჭრობ!



დაჭიმული აქვს კისრის ძარღვები, ავტომატივით მიშენს და მიშენს სიტყვებს — ზღარბივით წამოზღარბულებს, სისხლგამოწრეტილს, საცოდავს, შიშველს!..

სულ არ გვჭირდება ტრახან-ქაქანი: „მე ამას ვიზამ, მე იმას ვიზამ!“ „თოფი ისროლა!“ — იტყვიან მაშინ, როდესაც ტყვია მოხვდება მიზანს!

ჯეჟალ კვერენჩილაძე

გადაკეთებული სტრიქონები

- რიგში ვ დ გ ა ვ ა რ, ცეცხლი მიყილია!..
- მ ა რ ვსვამ ღვინოს, — ძალით მასმევენს!..
- იუვენან წიგნის მკითხველები, დღეს არიან მკიდველები.
- მმარის მოტანილი ქალს მიაქვს.
- მმარი ბჭობდა, ცოლი იცინოდაო.

ფელიქს კოტიაშვილი

უსსოპანი



ვიდეოტაბი

რა კარგია! სად იყიდე,
 სად იყიდე, საად?!
 ჩემთვის მინდა...
 ჩემთვის მინდა!
 მომიხდება, მა!..
 ორმაგს მივცემ,
 სამმაგს მივცემ,
 გამიხერხე რა!..
 რა კარგია,
 რა კარგია!
 სად იყიდე, საად?
 ვისი?! ჩვენი?!
 გავეყიდები!
 უცხოურს რომ ჰგავს?!
 კარგი ერთი! ნაგავია,
 რა ჩამაცმევს, რა?!

ჯანრი გოგაშვილი

ეგრე არ გამოვა!

მონახევკ ქონებას.
 გულხარბად დაჰხარი,
 თანაც გმურს იმათი,
 ნიჭით რომ იღვწიან!
 სახელიც დიდი გინდა,
 დიდი გსურს სახრავიც! —
 ეგრე არ გამოვა, ბიძია!

ნოდარ შამანაძე

ბუბიის ანდერძი

იუმორისკა

ბუბიანეშმა ლოყაზე ჯერ სელი მომიცაქუნა
 და მერე მითხრა: „იცხოვრე არც მთლად კარგად და არც ცუდად!
 არ მოინდომო, იცოდე, სადაც არა ღირს, გაძრომა,
 შიშშილს რაღაცით უშველი, მაგრამ დაგლუპავს გაძღომა!
 ნაღდი კაცური კაცობის ერთ ზაზს გაჰყუვი ბოლომდის!
 მშიერი კაცი სანდოა, გამძლარი არის ბოროტი!
 ეცადე, შეინარჩუნო ზომიერება ჭამაში,
 რადგან ცხოვრება ასეა, ჭამასთან არ ღირს თამაში!
 მე ვიცნობ ერთ კაცს, ღიბიანს, ძალიან უყვარს ქაბაბი,
 საგვარეულოს გაყიდის ქაბაბის ჭამის საბაბით!
 მაძლარი კაცის ცხოვრება არის დაცემა ზნეობის,
 ის ფულს შოულობს ჩალიჩით და ფუჭი ენაშუბლით,
 მას მეძაობა მოსდევს და დედოფა თანა აღრევა,
 სიძვა და არაწმინდება, ოჯახის, კერის დანგრევა!
 დაიმახსოვრე, თუ კაცი ცოდნით ზედაში დაცურავს,
 ის არ ვანდება არასდროს ფულისმოყვარე კაცუნა!
 იგი უნდობა თავის თავს, არ დაუჯერებს სხვის ენებს,
 თანამდებობას ბოროტად არასდროს გამოიყენებს!

დავიმანსოვრე ბუბიის ესე ანდერძი-ცხრაკარი,
 მას მერე კაცურ კაცისთვის დიაა ჩემი სახლ-კარი!

რევაზ ოსაშაიშვილი



— მივიღებდი სამსახურში. მაგრამ ადგილი არა მაქვს!..

— არა უშავს, ბატონო, ფეხზე დავდგები!

ანა ქარენინა ქვასვერელთან

ფალატონი

მიმდინარე წლის 1 ივლისს, საღამოს 7 საათზე, გრაკლის სადგურსა და ქვასვერელის პლატფორმას შორის გადასარბენს რომ ათვალეირებდა, რკინიგზელმა ყირო ყარაულაშვილმა ლიანდაგზე თეთრი საგანი შენიშნა და მყისვე იქით გაეშურა. როგორი იყო მისი გაკვირვება, როცა მან რელსების გარდიგარდმო შპალივით გამოტილი მშვენიერი ქალბატონი დაინახა!..

— ვინა ხარ, ქალო, აქ რამ წამოგაწვინა?! — ჰკითხა ყირომ.

— ანა ვარ, კარენინა, გაგიგონიათ?! — დაიკვნესა ქალბატონმა და ოდნავ გაახილა თვალები, ოღონდ რელსზე ყელგადაგდებულს თავი არ წამოუწვია.

— როგორ არ გამიგონია, მატარებლით რო თავს იკლაგვად, კინოში ვნახე, მაგრამა ველარ ვუყურე ბოლომდისინა!.. აქ რაღაზე მოსულხარ?

— აქ უნდა მოვიკლა თავი, შვიდი სრულდება, სადაცაა გრაკალს გამოსცდება თბილისიდან მომავალი გორის მატარებელი.

ყირო ყარაულაშვილი ცოლმკვდარი ქვრივი იყო და ძალიან მოეწონა სავსე ქალი.

— ეგეთი თეთრი კისერი რამ დაგადებინა მაზუთიან რელსზე, შე უღმერთო, მერე კიდენა თუ აღარ დაგიშლია და მაინცდამაინც გინდა, რომა დაკლული ინდაურით იფართხალო, ემანდ მეორე ლიანდაგზე გადაწევი და შეიდან მომავალს დაელოდე, თორემა გორის მატარებელი გაგაწვალე, ვინ იცის, როდის მოვა?!

— არა, მე აუცილებლად გორის მატარებლით მივინდა!.. იქ ერთი მგზავრი იქნება და... იმის დასანახად. — ქალბატონმა კვლავ მილულა ლამაზი თვალები.

„ერთი ამას უყურე, სიყვარულის გულისთვინ უნდა წაახდინოს ამისთანა ტან-ფეხი!“ — გაიფიქრა ყირომ. თქმით კი ეს უთხრა:

— რაკი ეგრეა, დროებით მაინც წამოდექი, ქალბატონო, გვერდები გეტკინება, აფსუსია! გორის მატარებელი ჯერ ისევ ძეგვში დგას! — ყირომ ერთიც შეხედა და ყანყრატოში ნდომის ნერწყვი გადაუსცა.

— როგორ?! ხუთზე თბილისიდან გამოსული შვიდზე ისევ ძეგვშია?!

— ექვსის ხუთ წუთზე გამოსული! — შეუსწორა ყირომ, — ძეგვიდან აქამდე ერთ საათ-ნახევარს კიდევ მოუნდება და ამდენ ხანს როგორ გასძლებთ რელსებზე?! — ყირომ ხელი გაუწოდა და წამოაყენა.

— საშველი აღარ ყოფილა და ეგ არის! — ამოიხრა ქალმა და თეთრი კისრიდან მაზუთი აშიიანი ცხვირსასოციტ მოიწმინდა.

— საშველი როგორ არ არი, ქალბატონო! გორის მატარებლით თავის მოკვლა სხვანაირადაც შეიძლება: ჩაჯექით მის ერთ-ერთ ვაგონში და გამოჰყევით თბილისიდანა, დასუჭეთ თვალები და დაელოდეთ სიკვდილსა, თავისთავად მოვა!

— როგორ?! — გაუნარდა ქალბატონს.

— სულ უბრალოდა: გზაში აჩერებენ, აქაო და მოსკოვის მატარებელი უნდა დაწეოსო, ან კიდევ... სოჭიო! ვერც ერთი ეწევა და ვერც მეორე, მაგრამ ნახევარსაათობით ალოდინებენ ხან მცხეთაში, ხან ძეგვში და ხან კავთისხევში. აი, მაშინ იწყება გაჩერებულ მატარებელში სულის ხუთვაი ჩამოწოლილი სიცხისა და სიგარეტების ჭვარტლისგანა, ოღონდ აქაც უნდა შეგეძლოს ადგილის შერჩევა, „კარტოუნეების“ ახლო უნდა დაჯდო, რო გამოუღვეველი იყვეს კვამლი, ხელდახელ მოიგუდები, ქალბატონო, და არც კაბა დაგესვრება მაზუთითა!

ქალბატონმა მადლობა გადაუხადა ყარაულაშვილს ასეთი კეთილი რჩევისათვის და სადგურისკენ გაეშურა. მას შემდეგ იგი იმ ადგილებში აღარავის უნახავს. არავინ იცის, უკვე მოიკლა თავი ყიროს გამოწერილი რეცეპტით თუ ჯერ ისევ ამის ცდაშია.


P. S.

გუმწინწინ მცხეთაში, იმ დროს, როდესაც გორის მატარებელი ნახევარ საათზე მეტი ხნის განმავლობაში ელოდებოდა, ჩქარი მატარებელი როდის დამეწევაო, ვაგონიდან ერთი მცხეთური ღვეხელივით ტანაფუებული და ცხელ-ცხელი ქალბატონი გადმოიყვანეს და წყალს აპკურებდნენ!..

ეს რომ არ იყო ქვასვერელთან ყირო ყარაულაშვილის მიერ ნანახი ანა კარენინა?

ეს ალბათ თვითონ რკინიგზელებს უკეთ ეცოდინებათ და პასუხსაც მათგან მოველით!

მერაბ ელგუჯაური



შინ და გარეთ

შინ

— ოო, მობრძანდით, ბატონო! დიდად მოხარული ვარ! აი, აქ დაბრძანდით, აქ უფრო მოხერხებულად იგრძნობთ თავს! ახლავე ფანჯარას მოვხურავ, რომ არ გაცივდეთ! არა, როგორ გეკადრებათ, მე უბრალო აღამიანი ვარ!..

გარეთ

— ვინ გეხვეწებოდა, რომ ამ ავტობუსში ამოეთრიე?! რას მომჩერებინარ?! ადგილს არ დაგი-თმ-ო-ბი რაო?! ფანჯარა მაინც მივხურო?! სა, სა, სა, არ გაცივდე, ბარაშკაჯანი! ვის ელაპარაკები ასე?! იცი, მე ვინა ვარ?!

ანდრო კოკოლია

ყველა, ვინც კი ცნობილ პედაგოგსა და ლიტერატორს სიმონ სხირტლაძეს იცნობდა, მოხიბლული იყო მისი უანსალი, ნამდვილად ცხოვრებისეული იუმორით.

მკითხველებს ვთავაზობ ჩემს მიერ სხვადასხვა დროს ჩაწერილ სიმონ სხირტლაძისეულ საუკეთესო სწარტულებს.



სიმონ სხირტლაძის სწარტულები

სიმონ ს ხ ი რ ტ ლ ა ძ ე ვ ა ზ მ ე ა თ ე კ ლ ა ს ე ლ ე ბ თ ა ნ შ ე ვ ი დ ა გ ა კ ვ ე თ ი ლ ის ჩ ა ს ა ტ ა რ ე ბ ლ ა დ ! . „ მ ო მ ი ყ ე ვ ი გ ა კ ვ ე თ ი ლ ი ! “ — მ ი მ ა რ თ ა მ ა ნ მ ო ს წ ა ვ ლ ე ს , რ ო მ ე ლ ი ც ს უ ლ ბ ო ლ ო მ ე რ ხ ზ ე ი ჯ დ ა თ ა ვ ჩ ა ქ ი ნ დ რ უ ლ ი . მ ო ს წ ა ვ ლ ე მ გ ა კ ვ ე თ ი ლ ი ა რ ი ც ო ლ ა . ს ი მ ო ნ ი „ ო რ ი ა ნ ის “ დ ა ს ა წ ე რ ა დ მ ო ე მ ზ ა დ ა . მ ა გ რ ა მ კ ა ლ ა მ ი რ ა მ დ ე ნ ი მ ე ჯ ე რ ა მ ო ა დ ჩ ა ა წ ო ს ა მ ე ლ ნ ე შ ი , რ ა დ გ ა ნ ბ ი ჭ ე ბ ს მ ის თ ვ ის ც ა რ ი ე ლ ი ს ა მ ე ლ ნ ე დ ა ე დ გ ა თ . მ ო ს წ ა ვ ლ ე ბ ი ჩ უ მ - ჩ უ მ ა დ ი ც ი ნ ო დ ნ ე ნ , თ ა ნ ი ნ ტ ე რ ე ს ი თ მ ო ე ლ ო დ ნ ე ნ , რ ა ს ი ტ ყ ო ლ ა ა მ ა ზ ე ე ნ ა მ ო ს წ რ ე ბ უ ლ ი . მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი . ს ი მ ო ნ მ ა ღ ი მ ი ლ ი თ ა ს წ ი ა თ ა ვ ი დ ა წ ა რ მ ო - თ ქ ვ ა : — შ ა ტ ა ლ ო ზ ე მ ი დ ი ხ ა რ თ , — ღ ვ ი ნ ი თ ს ა ვ ს ე ჭ ი კ ე ბ ს ს ც ლ ი თ , ს კ ო ლ ა შ ი მ ო დ ი ნ ა რ თ , — ს ა მ ე ლ ნ ე ბ ს ! . ა ფ ე რ უ მ თ ქ ვ ე ნ ს ბ ი ჭ ო ბ ა ს !

* * *

მე და სიმონი რესტორანში ვსადილობდით. დარბაზში ნამეტნავად პურაძვირა ნიკო შემოვიდა. სიმონმა ნიკო მაგიდასთან მოიპატიჟა, თან, თითქოს მართალს ეუბნებო, ისეთი ტონით შესძახა, მსოფლიოში ყველაზე ლამაზ პურისმჭამელ კაცს გაუმარჯოსო, და სკამი დაუდგა. ნიკომ — მზარეულთან მაქვს საქმე, იმის სანახავად შემოვედი, ვნახავ და ახლავე გეახლებითო! უცებ ოფიცინტმა ნიკოს გამოგზავნილი პურ-ღვინო მოგვიტანა. ნიკოც მალე მოვიდა.

— ჩემო სიმონ, ხარახურა ხალხთან პურის ჭამა არ მიყვარს და პურაძვირას მეძახიან, შენთან მილიონი რომ დავხარჯო, არ დამეზარება, სულ ოქრო რომ ამოგდის მაგ პირიდან! — თქვა ნიკომ.

— ავაშენოს ღმერთმა, სწორედ მაგიტომაც გეძახი ლამაზ პურისმჭამელს! — მიუგო სიმონმა.



სიმონთან ერთმა მეგობარმა ვაჟიშვილი მიიყვანა, ამ ზაფხულს მისაღებ გამოცდებს აბარებს უნივერსიტეტში და, შენი ჭირიმე, ქართულში შენებურად წაამეცადინეო! სახელგანთქმული აღმზრდელი საქმეს გულმოდგინედ შეუდგა, მაგრამ აღსაზრდელი სრულიად უცოდინარი გამოდგა. გამოსდა ხანი და აბიტურიენტი მოძღვართან ილღიაში ამოჩრილი ტიკით მივიდა, მამამ გამოგიგზავნათო! — კარგი უქნია, მთავარია, ტიკში იყოს, — თან ქოჩორზე გადაუსვა ხელი, — თავში რა საჭიროაო?!

სიმონი მათემატიკაში მოსწავლეთა საქალაქო წერით ოლიმპიადაზე მიიწვიეს ზედამხედველად. დარბაზში მეგობრის ვაჟიშვილი შენიშნა, რომელიც თვალეზით ეხვეწებოდა სიმონს, მიშველე რამეო! სიმონი მოსწავლეს მიუახლოვდა და ყურში ჩასჩურჩულა:

— ამოცანებს ვერ იყვან, ხომ? რა გიყო, ბიჭო, მათემატიკა არც მე ვიცი, ქართულს რომ წერდე, ბულბულს დაგიფრენდი კალმის წვერზე!

* * *


ერთი ჩვენს ახლობელს დაბადების დღის აღსანიშნავი წვეულება ჰქონდა. სიმონმა სუფრას გადახედა და ღიმილით მითხრა: — აქ ქათმის ხორცის ჭამა ნამდვილად შეიძლება, გლახურიანო. როგორ ატყობ-მეთქი, ვკითხე. მოკლე კისრითო. ფერმის ქათამს კისერი ჟირაფივით უგრძელდება. ვალიიდან საკენკს ადვილად რომ მისწვდესო.

ქიზვარდ ისაქაძე

ნახ. შ. ლელაძისა



„უიგულო“ ზეთით მოხვედლი? — გამოცდებს თურმე მანქანა იბარებს და ამაზე კარგ ძღვენს სხვას რას მივუტანი!



— ნუ დაგვანხრევთ მეზობლები!
— ჩემი რა ბრაღია, „აი-93“ ჩავასხი და თურმე „აი-76“ ბენზინი აღმოჩნდა!

დასურვა მიყვარს!

იუმორისკა

ბაშინი გაზეთ „გამარჯვების აღმადგენის“ რედაქციიდან კორესპონდენტი მსტუმრებია და ინტერვიუ აუღია ჩემგან. სამწუხაროდ, მე შინ არ დავხვედრივარ და ზოგიერთ პასუხზე მცირეოდენი ახსნა-განმარტება უნდა მოგცეხ:
კორესპონდენტი უკითხავს: — როდის დაიბეჭდა თქვენი პირველი ნაწარმოები?
შეპასუხია: — ჩემი პირველი ნაწარმოები დაიბეჭდა ამა და ამ წელს ამა და ამ გაზეთში.
სინამდვილეში ჩემი პირველი ნაწარმოები გამოქვეყნდა აღნიშნულ გაზეთში. ოღონდ ამა და ამ წელს, ესე იგი, ათი წლის მერე.
უკითხავს: — რამ გიბიძგათ, აველოთ სელში კალამი?
შეპასუხია: — სამშობლოს სიყვარულმა.
სინამდვილეში კი პირველი ლექსი ბაჭიაზე დავეჭდე.
უკითხავს: — როგორ ჩამოყალიბდით იუმორისტად?
შეპასუხია: — ბევრს ვკითხულობდი გამოჩენილ იუმორისტ მწერალთა ნაწარმოებებს, რომლებმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და დიდი როლი ითამაშა იუმორისტად ჩემს ჩამოყალიბებაში.
ამ კითხვაზე მე ასე ვუპასუხებდი: იუმორის განრში შემთხვევით მოვხვდი. სატირულ-იუმორისტული ჟურნალის რედაქციაში აღმომა-

ჩნდა ნაცნობი. რამაც განსაზღვრა ჩემი მომავალი მოღვაწეობა ამ ეანრში.
უკითხავს: — დამისახელეთ თქვენი საყვარელი იუმორისტი მწერალი!
შეპასუხია: — ჩემი საყვარელი იუმორისტი მწერალია პანს ჯერალდი. იგი გმირების ხასიათის იუმორისტულად გასხნის უბადლო ოსტატია.
მართალი ვითხრათ, პირველად მესმის ამ მწერლის სახელი და გვარი. მაგრამ, როგორც ჩემი „პასუხიდან“ ჩანს, ურიგო მწერალი არ უნდა იყოს. შინ რომ დავხვედროდი. ვუპასუხებდი: — ჩემი საყვარელი მწერალი ესა და ესაა-მეთქი.
უკითხავს: — რამდენი წიგნის ავტორი ხართ?
შეპასუხია: — თორმეტის.
მართლა ჩემთვის რომ ეკითხა, ვუპასუხებდი, რომ ვარ ორი და არა თორმეტი წიგნის ავტორი.
უკითხავს: — როგორი ურთიერთობა გაქვთ ოჯახის წევრებთან? როგორ ესმის თქვენი იუმორი მეუღლეს?
ამ შეკითხვაზე ძირითადად სწორად მიპასუხია, მაგრამ პასუხში არა ჩანს, ჩემს რომელ წელს მოყვანილ ცოლზეა ლაპარაკი.
უკითხავს: — რას იტყვით ენის სიწმინდის დაცვასთან დაკავშირებით?
შეპასუხია: — ამ ბოლო დროს ბევრი კეთდება ენის სიწმინდის დაცვასთან დაკავშირებით... — და ჩამომითვლია ფაქტები.
პირდაპირ ვიტყვი: ენის სიწმინდის დაცვასთან დაკავშირებით ბევრი არაფერი კეთდება. ავიღოთ თუნდაც ერთი მაგალითი: ჩვენში კარგა ხანია დამკვიდრდა გამოთქმა „მოსახლეობის კეთილმომსახურების ბიურო“. ადვილად იგონებთ ამ წინადადების არაბუნებრიობას. სინტაგმის მეორე წევრი — კეთილმომსახურება — ორფუძიანი კომპოზიცია, რომლის პირველი წევრი — კეთილ — სრულიად უადგილოდ ზის კომპოზიტიში. თუ მაინცდამაინც სინტაგმა რთულ, ორფუძიან სიტყვას მოითხოვდა, მაშინ უკეთესი იყო კომპოზიტი პირველი კომპონენტის, კეთილ-ის ნაცვლად ჩავგვსვა ცუდი-მაშინ ფრანსა ბუნებრივად აჟღერდებოდა, აზრი ნათელი იქნებოდა და არც კალკირებასთან გვექნებოდა საქმე. მივიღებდით: „მოსახლეობის ცუდმომსახურების ბიურო“ და ყველაფერი თავის ადგილას იქნებოდა.
უკითხავს: — მისდევთ თუ არა სპორტის რომელიმე სახეობას?
შეპასუხია: — მიყვარს თხილამურებით სიარული.
გამოგიტყდებით, თხილამური ახლოდანაც არ მინახავს. ისე, თუ გაინტერესებთ, ცურვა მიყვარს!..

ნოვადი პარტიანა

ნ. ბ. კუციანი



— ხელფასზე თუ იმუშავებ, სამსახურსაც მოგცემ!

საქართველოს

კრებსა

იურორასკა

კრებსის თავმჯდომარე: — ამხანაგებო! რადგან ჩვენი არალეგალური კრების თავმჯდომარედ ერთხმად ამირჩიეთ, კეთილი ინებუთ და მომისმინეთ! დღის წესრიგშია ერთი საკითხი: „როგორ ვებრძოლოთ დისციპლინის განმტკიცებას ჩვენს საკვლევ ინსტიტუტში“. არ დავიწყებ ახლა, ვინ არის მომხრე, ვინ წინააღმდეგი, თავი ვინ შეიკავა. ყოველი წუთი ჩვენითვის ძვირფასია. სიტყვა ინფორმაციისთვის ეძლევა ინსტიტუტის დამსახურებულ გამცემს, სამ თვეში თოთხმეტი ბიულეტენის კავალერს, ბატონ პროგულაშვილს.

პროგულაშვილი: — ცუდი დრო დადგა, ამხანაგებო! იმდენად ცუდი, რომ ჩვენგან ამკარად მოითხოვენ, სამსახურში ვიაროთ!..

- ეს უმსგავსობაა?!
- სამართალი აღარ არის ქვეყნად?!
- კიდევ რა უნდათ?!

თავმჯდომარე (მდივანს): — ეს რეპლიკები ოქმში შეიტანეთ!

პროგულაშვილი: — თურმე რაკი შრომის უფლება გვაქვს და ხელფასი გვეძლევა, რაკი შემოქმედებით მივლინებუბშიც გვაგზავნიან და ზოგიერთი ჩვენგანისთვის კარლოვი ვარში დასასვენებელ საგზურებსაც არ იშურებენ, სამსახურში ყოველდღე უნდა ვიაროთ!..

- ამისთვის იბრძოდა ჩვენი მამა-პაპა?!
- ამისთვის მოვიგეთ დიდი სამამულო ომი?!

პროგულაშვილი: — თანაც სამსახურში დროზე უნდა გამოვცხადდეთ, ამხანაგებო! მიაქციეთ ყურადღება: დილის ცხრა საათზე ინსტიტუტში უნდა ვიყოთ და მხოლოდ საღამოს ექვს საათზე წავიდეთ აქედან!

ამ სიტყვებზე კრების ერთმა მონაწილემ გრძნობა დაკარგა.

თავმჯდომარე (მდივანს): — შეიტანეთ ოქმში!

მდივანი (დაბნეული): — გულწაღლი ადამიანი როგორ შეეიტანო ოქმში?!

თავმჯდომარე: — ჩაწერეთ, რომ პატიოსანი მშრომელები ამ მოთხოვნებს ვერ უძლებენ და გული მისდით!

გრძნობადაკარგული ადამიანი საკაცით გაიყვანეს, მომხსენებელმა კი განაგრძო:

— წინათ, ხუთი-ექვსი საათით სამსახურიდან რომ გავდიოდით, მოგვსენებნათ, ზოგი იდეური დონის ასამაღლებლად კინოში შედიოდა, ზოგი სამუშაოსგან გადაღლილ ტენის ცირკში ასვენებდა, ზოგიც სხეულის გაკაჟების მიზნით რესტორანში ღვინის აბაზანებს იღებდა!.. ის დრო მოკვდა, ამხანაგებო!

— ნეტავი ჩვენ მოვმკვდარიყავით და ის დრო ყოფილიყო! — ამოიოხრა ვიღაცამ.

— პოდა, რაკი ცოცხლები ვართ, ჩვენ ტაქტიკა უნდა შევცვალოთ! — თქვა მომხსენებელმა.

— რა უნდა ვქნათ? — იკითხა ვიღაცამ.

— სამსახურში დროზე უნდა გამოვცხადდეთ!

— პაღღეც!.. მოსყიდულია!.. პრემიას შეპირდნენ და იმიტომ ჭიკჭიკებს ასე!.. ჩამოაგდეთ ტრიბუნდან!.. — ისმოდა მომხსენებლის მისამართით. ბოლოს ერთი ახალგაზრდა წამოგდა:

— იქნებ ისიც გვითხრათ, ვაუბატონო, რომ სამუშაოს დამთავრებამდე სამსახურიდან წახი არ უნდა გავადგათ?!

— დიას, ამხანაგებო, თავს ზემოთ ძალა არ არის: სამსახურში დროზე უნდა გამოვცხადდეთ და დროზე წავიდეთ აქედან!

— შეხედეთ, ბულდოგს არ ჰგავს?!.. მაგას სისხლის ნაცვლად ძარღვებში მელანი უჩხრიალებს!.. ოპ, შენი თავი მომცა შესვენების დროს სულდაღოვის ტყეში!.. — კვლავ გაისმა მომხსენებლის მისამართით.

— აცალეთ, ამხანაგებო! ასე როგორ შეიძლება?! კაცი თავის აზრს ამბობს, თქვენ კი ლანძღავთ!.. განაგრძეთ! — მიუბრუნდა თავმჯდომარე პროგულაშვილს.

პროგულაშვილი: — ახლა მთავარი, რაციონალურად როგორ გავანაწილოთ სამუშაო დრო!..

— როგორ?! უკვე შევთანხმდით, რომ სამსახურში უნდა ვიაროთ?! თქვენც შეგარცხვინეთ და თქვენი კრებაც! მეგონა, ხალხთან მქონდა საქმე! — გაბრაზდა ერთი და კრება მიატოვა.

— აქამდე ნამეტანს ვშვრებოდით, — განაგრძო მომხსენებელმა, — ასეც არ შეიძლება! წინადადება შემომავქვს, სამსახურში ჭადრაკის თამაში ცხრა საათიდანვე კი არა, არამედ, ვთქვათ, თერთმეტის ნახევარზე დავიწყოთ!

თავმჯდომარე: — ვინ არის ამ წინადადების მომხრე? გთხოვთ ხელის აწევით დაგვიდასტუროთ!

— ერთს კი არა, ორივე ხელს ავწევ, მაგრამ საათნახევარი რა გავაკეთო?

— სამსახურში გამოცხადების ჟურნალში ხელი მოაწერე, პრესა გადაიკითხე, ტელეფონს ჩამოკვიდე, რადიო ჩართე და მოუსმინე!.. ცოტაა საქმე?! — დატუქსა თავმჯდომარემ.

— თერთმეტის ნახევარზე ნამეტანი გვიანაა, მე მოვითხოვ ჭადრაკის თამაში დავიწყოთ, ათს თხუთმეტი წუთი რომ დააკლდება. ორმოცდახუთ წუთში ხელსაც მოვაწერთ, პრესასაც გადავაულებთ თვალს, რადიოსაც მოვუსმენთ და ტელეფონზეც ვილაპარაკებთ. ახლა არც ერთი იმ ასაკში არა ვართ, რომ ტელეფონით სიყვარული აუუნხნათ ვინმეს. — თქვა კრების უხუცესმა მონაწილემ.

— კი, მაგრამ, ვინც ჭადრაკის თამაში არ ვიცით, იმათ რა ვქნათ? — დაიძახა ერთმა ინტროგანმა.

— ჭადრაკის თამაში თუ არ იცოდი, სამსახურში ვინ მიგიღო, შე უდღეურო, შენი? — შეუტია თავმჯდომარემ.

— სამაგიეროდ დომინოს თამაშია! — დომინოს ხსენებაზე თავმჯდომარეს წაეწეოდა ყვი მოუვიდა, მომხსენებელიც აღელდა, ერთმანეთს შეხედეს, თავმჯდომარემ ანიშნა, მოკლედ მოსჭერი სიტყვა და დავიწყოთ, მომხსენებელმაც მოკლედ მოსჭრა, სამსახურში ყველამ უნდა ვიაროთო და დაიძახა: — მე და თავმჯდომარე პარები ვართ და პირველ პარტიას ჩვენ ვთამაშობთ, დანარჩენები კი რიგში ჩადგები! წაგებული წყვილი დგება!

— თქვენ ორივენი ძლიერები ხართ და მთელი დღე არ წააგებთ, ასე არ შეიძლება, კენჭი ვყაროთ, პირველი ვინ დაჯდება! — გააპროტესტა იმან, ჭადრაკის თამაში რომ არ იცოდა.

ამ სიტყვებზე თავმჯდომარემ პორტფელი გახსნა, იქიდან დომინოს და საანგარიშო ამოიღო და მშვიდად თქვა:

— მე იმ უპირატესობით ვსარგებლობ, რომ დომინო და საანგარიშო ჩემია, პარად პროგულაშვილს ვირჩევ, კენჭი დანარჩენებმა ჰყარეთ, ვისაც დიდი ქვა შეეჯდება, პირველად ის გვეთამაშება!..

სამსახურის დამთავრებამდე დომინოს თამაშობდნენ, დროდადრო წაგებულები და თამაშიდან გაყარდნილნიც ჭადრაკის დაფასთან წყვილდებოდნენ, ზოგს ბეღმა გაუღმა; კროსვორდი იშოვა და თავს იმით იქცევა, ზოგი რადიოს უსმენდა, ზოგი ტელევიზორს უყურებდა, ზოგმა მამაპაპურად გამოიძინა კიდევ. მთავარი კი ის გახლდათ, რომ დიდიდან საღამომდე ყველა სამსახურში იყო!

ვივა მახვილქა



КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛЯРЫ



ტურისტულ ტალღაზე

უცხოური ძონძებისა და ჭინჭების გულისთვის გადაწყვიტა, გამხდარიყო მოგზაური — ტურისტი! ახლა დააქვს სანუქრები დათვისთვის და

ტურისტის, — საგზურებს რომ უხერხებენ, იმა სამსახურისთვის, და ისინიც ღებულობენ, თან იცინან, თუ რისთვის. ზოგიერთი ასე ხდება მომხვეჭელი, „ფულისტი“.

ბ. ცინცხალი

ლანდი

დაინახა ფშანზე ლადომ საკუთარი თავი, მოეჩვენა ლადოს, თითქოს წყალზე დაღის!..

აი, დიდმა თევზმა გაიბრინა უცებ. ხელი სტაცა ლადომ, ლელავს. გული უცემს!..

უხარია ლადოს, — ხელეში ჰყავს თითქო, ის კი ავიწყდება, ხმელზე რომ დგას თვითონ.

გიორგი კაპანაძე

527
18.VIII 86

უსიტყვოდ

ნახ. ბ. კუცინისი



ცხენაშურთელი კენთავრი

ჰ.

ნახ. მ. აბაშიძისა



უსიტყვოდ



საბირისა და იუმორის ურანალი „ნიანგი“ № 15 (1721). აგვისტო. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), კვაბუა ამირჯიბი, ნომადი ბართაია, ბორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჭემალ ლოლუა, ნოდარ მაღაზონია (მხატვარ-რედაქტორი), ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სინარულიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წიგწივაძე, ნაფი ჯუსოიითი.

ტექნიკური რედაქტორი ირაკლი ღუნდუა

გადაეცა ასაწყობად 8.07.86 წ. ხელმოწერილი დასაბეჭდად 1.08.86 წ. ქალაქის ზომა 60X90/4 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5, საადრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9, საქართველოს კვ-ის გამომცემლობა, ლენინის, 1, შეგვ. 1660 უფ. 05106

ტირაჟი 143.000. ურანალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, პო. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან — მეგანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАН-ГИ» (На грузинском языке) Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაბ. ინდექსი 76137



გამართიანებული ერების ორგანიზაცია უფლებამოსილი და მოვალეა, აიმაღლოს ხმა იმპერიალისტური მონოპოლიების მიერ განვითარებადი ქვეყნების ექსპლუატაციის, მათი ბუნებრივი რესურსების ძარცვის, ვალების უფლვით მათი ეკონომიკის მოხრჩობის წინააღმდეგ. **გაზეთიზიდან**

